პირველყოფილ ადამიანთა სიტყვების კვალი ქართულ ენაში

თენგიზ ნასყოფვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ერი და პიროვნება მაშინ გაბრწყინდება
— გაჩხიზოსნდება, როდესაც შეიცნობს
საკუთარ, ნაძღვილ არსებობრივ ძალს და
გაითავისებს"

თენგიზ (თემურ) ნაცვლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობა

„პირველითგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი“. ასე იწყება იოანეს სახარება უფალი იესო ქრისტეს შესახებ და ამ ერთსა და იმავე სიტყვას ზოგი უყურებდა როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, ზოგი – როგორც თვითმარქვია დამნაშავეს, ზოგნი – როგორც წინასწარმეტყველს, მხოლოდ იშვიათნი თუ აღიქვამდნენ მას, როგორც ღმერთს, საკუთარი განათლების და მზაობის მიხედვით.

ახლა გთავაზობთ ღვთის წყალობით შესრულებულ ნაკვლევს, რომელიც წარმოადგენს უძველესი, ათასწლეულების წინათ ღრმად მიძინებული ენის მკვდრეთით აღდგენას და მისი მნიშვნელობაც მკითხველს საკუთარი ცნობიერების მიხედვით გაეხსნება და დაენახვება, რადგან, რაც უფრო ნატიფი დონიდან აღქმულზეა საუბარი, მით ჭირს მისი შეფასება. გავითვალისწინოთ, რომ ენის შემსწავლელმა ინსტიტუტებმა, დიდად დასაფასებელი კვლევების მიუხედავად, დღემდე არ იციან, რომ სიტყვები: მზე, დიდი, ხიდი, შიში, ბუქი, ბალახი, ბაყაყი, ბუნაგი და ასე შემდეგ... პირველყოფილი ენის დროინდელია. ვეცადოთ მივხვდეთ სიტყვა „ბუა“-ს მნიშვნელობას. სინამდვილეში ვინმეს 8 სიტყვაც რომ აღედგინა პირველყოფილი ადამიანთა მეტყველებიდან – სასწაულად ჩაითვლებოდა. ახლა კი, მკითხველს წინ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი კვლევა ელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე ზოსიმე

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად. რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან. ესე არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართაჲ.

და მეგობრობაა ამისთჳს თქუა [მახარებელმან]. რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს თქუა დავით წინაისწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი – ვითარცა ერთი დღეჲ“.

და სახარებასა შინა ქართულსა ხოლო თავსა მათეჲსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა, –

და ესე არს ოთხი დღეჲ და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთჳს მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.

და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული – მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.

და სასწაულად ესე აქუს: ას-ოთხი წელი უმეტეჲს სხუათა ენათა ქრისტეჲს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ას-ოთხი ესე წელი და წილი ანბანისაჲ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ნატროშვილის შესახებ

საქართველოს აღმოსავლეთი დედოფლისწყაროს რაიონით იწყება. იგი ნაწილია ისტორიული ქიზიყისა, რომელმაც მთასთან ერთად შემოირჩინა უძველესი სარწმუნოება (ზედაშის სახით) და მართვის ზეკასტური სისტემები. ამ რაიონის სახელწოდებაც თითქოს უკავშირდება სალოცავს. კირქვის მთები სასწაულებრივად ქმნიან მწოლიარე მანდილოსნის ხატს, თავისი ტბით (ქრისტიანობის შემოტანის შემდეგ ელიად წოდებული), ადგილის დედას სალოცავს – დაკავშირებულს დედაუფალთან. ახლო წარსულში ამ სალოცავიდან მოედინებოდა წყარო (დედუფლის წყარო). სალოცავის გასწვრივ, სოფელ სამრეკლოში, 1955 წლის იანვარში ქრისტეშობის მეორე დღეს დაიბადა იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის რეალურად აღმომჩენი თენგიზ ნატროშვილი.

თავიდან შეძლებულ ოჯახში დაბადებულის მიზანი იყო, მოეწყო ფინანსურად უზრუნველყოფილი და კომფორტული ცხოვრება და ამისთვის თითქმის ყველა პირობა ხელს უწყობდა. 16 წლის უკვე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. შესანიშნავი ხმა საშუალებას აძლევდა, ემღერა საოპერო სცენაზე. გამჭრიახი გონება და მომხიბლავი გარეგნობა კარს უხსნიდა საზოგადოებაში. მაგრამ მოულოდნელად მისი მსოფლხედველობა შეიცვალა. 18 წლის ასაკში მან აღმოაჩინა, რომ ცხოვრობს იმპერიაში, სადაც სიცრუე და სიყალბე გამეფებულა, თანაც ისე კი არა, როგორც მრავალ ქვეყანაში – ფარულად, აქ ყველა ხედავს და (იშვიათი გამონაკლისების გარდა) ემორჩილება. მისთვის კი ასეთი ცხოვრება მიუღებელი იყო. ამიტომ გადაწყვიტა პრივილეგიების გამო არ ეღალატა საკუთარი სინდისისა და სამშობლოსათვის.

ახლობლები შეშფოთებულნი იყვნენ, რადგან ეს გზა, მათი აზრით, დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა და რომ გადაერწმუნებინათ, სთავაზობდნენ ან ეცხოვრა როგორც სხვები ცხოვრობ-

დნენ, ანდა შეუწყვეტდნენ დახმარებას და მოუწევდა არსებობა დამოუკიდებლად, თავის იდეებთან ერთად. მაგრამ მისთვის სიმართლე და ჭეშმარიტება საკუთარ თავზე ძვირფასი იყო. სასწავლებელზეც გული მალევე აუცრუვდა, რადგან იქაც იგივე სიყალბე მეფობდა. სადაც ინჟინრის დიპლომის მისაღებად საჭირო იყო გამოცდის ჩაბარება ათეიზმში: მატერიალიზმსა და მეცნიერულ კომუნიზმში.

ერთხელ, ფილოსოფიის ლექციაზე, ლექტორი ამტკიცებდა: არ არსებობს ღმერთი; ცნობიერება მაღალგანვითარებული მატერიის – ადამიანის ტვინის – თვისებაა და ყურადღება გაამახვილა მატერიალურზეც და იდეალისტურზეც. მაგალითად მოიყვანა ის, რომ არსებობს კონკრეტული – რეალისტური ალექსანდრე, მზია, ტარიელი – მიუთითა სტუდენტებზე. მაგრამ ზოგადი ადამიანი – წარმოსახვითი, იდეალისტურია – არ არსებობს. ნატროშვილმა ხელი აიწია და არ დაეთანხმა: მაპატიეთ პატივცემულო, მაგრამ ადამიანიც ხომ არსებობს“ – აბა დამანახე ადამიანი! ღიმილით შეეკითხა ლექტორი. – ესენი ხომ არიან ადამიანები? – მიუთითა თენგიზმა – მრავლობითი არსებობს, მხოლობითი არ იარსებებს ?! – ლექტორი დაიბნა, ვერაფერი უპასუხა. მას შეიძლება მართლა არ სწამდა ღმერთი და მითუმეტეს მეცნიერული კომუნიზმი, მაგრამ სჯეროდა, რომ ყველა ამ სიცრუით ცხოვრობს და სხვანაირად არსებობა წარმოუდგენელია. უნდა ჩაეტარებინა ასეთი ლექცია, ოჯახში რომ ხელფასი მიეტანა. ამაში კი ეს უცნაური სტუდენტი ხელს უშლიდა. ამიტომ მოძებნა საბაბი და ლექციიდან გააძევა, მომავალში მაინც რომ გაეჩუმებინა. ამ შემთხვევამ თენგიზს დაანახა ყოფითი რეალობა. მან გადაწყვიტა, შინაგანად მიეტოვებინა ყველაფერი და მოეძებნა ცხოვრების ის ნაკადი, სადაც სიყალბის სისტემები ვეღარ ვრცელდებოდა, რათა ეპოვა თავისუფლება, ჭეშმარიტება და ცოდნა. მაშინ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს ყველაფერი თავად ღმერთია. ამ მიმართულებითაც მალე დგება გზაგასაყართან:

ერთხელ, ორი დღის მშიერი ხედავს, როგორ ამოუვარდება ნასვამ მამაკაცს ჯიბიდან მანეთიანი. იგი დაფიქრდება, მიიღოს ღვთის წყალობად, შევიდეს სასადილოში და დანაყრდეს, თუ როგორც ღვთისგან გამოცდა. ის იღებს მანეთიანს და მცირე ყოყმანის შემდეგ უბრუნებს პატრონს.

ცხოვრების ასეთ გზაზე პოულობს საზოგადოებისგან გარიყულ გენიოსებს, რომლებსაც ირჩევს მასწავლებლებად და იღებს გაკვეთილებს, რომლის დარი ძნელად თუ შეუძლია მისცეს რომელიმე უმაღლესმა სასწავლებელმა. ერთ–ერთი ასეთი პიროვნების დახმარებით ის ეზიარება პოეზიის სიმაღლეებს და 1977 წელს ხსნის გალაქტიონის სიმბოლოებს. ზნეობრივ ბილიკებს თანდათან გაჰყავს ღვთაებრივ გზაზე; პოეზია ხდება საფეხური რელიგიამდე. 1979 წელს ის დეიდასთან პოულობს სახარებას, რომელსაც ჩუქნიან და ეზიარება ღვთაებრივ ცოდნას. მას ჯერ ბოლომდე არ ესმის უფლის სიტყვების აზრი, მაგრამ ხვდება მათ სიდიადეს, რომლებიც მის სულს მალამოსავით ედება და არწმუნებს საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში.

... „ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყურიოდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღნენ“...

... „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“...

... „ნეტარ იყუნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდენ და გდევნიდენ, და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის; გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქვენი ფრიად-არს ცათა შინა, რამეთუ ეგრეთვე სდევნეს წინასწარმეტყველნი უწინარეს თქვენსა. თქვენ ხართ მარილი სოფლისანი“...

იგი გულმხურვალედ ეწაფება უფლის სიტყვებს და ცდილობს ჩაწვდეს მათ არსს, – შეგნებულად და არა ფანატიკურად, რადგან ხვდება, რომ ქრისტე სინათლეა, ხოლო ფანატიზმი – სიბნელე.

1980-1981 წლებში ის აკეთებს ახალ აღმოჩენას აზროვნებაში, რომელზეც დუმს, რადგან ხედავს, რომ საზოგადოება მზად არაა მის მისაღებად.

1983 წელს იბეჭდება ვედური (ინდური) ცივილიზაციის შედევრი ბჰაგავად-გიტა. არაავტორიტეტული თარგმანის მიუხედავად ეს ნაწარმოები უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მასზე. აქამდე თუ იგი აღფრთოვანებული იყო ევროპული ლიტერატურით, ხედავს რომ რელიგიური ცნობიერება გაცილებით აღმატებულია.

„ყოფნა? არ ყოფნა? – საკითხავი აი ეს არის" – ამბობს დიდი შექსპირის გმირი და სასოწარკვეთილებაში იღუპება. კრიშნა კი მეგობრის, არჯუნას, (რომელიც ინდივიდუალური სულის სიმბოლოა), ამნაირ სიტყვებზე იღიმება და უყვება მეცნიერებას სხეულზე, სამყაროზე და უკვდავი სულის შესახებ. ეს ცოდნა თენგიზს ეხმარება ქრისტეს სიტყვების გაგებაში. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან ყველა რელიგია (შეიძლება სხვადასხვა დონით) ერთი სამყაროს და ერთი ღმერთის შეცნობის მცდელობაა.

ამავე წელს იბეჭდება ჩინური ცივილიზაციის უდიდესი ქმნილება ლაო-ძის „დაო დე ძინი"

... „ჭურჭელს თიხისგან ამზადებენ, მაგრამ მის არსს მასში მოქცეული სიცარიელე ქმნის" – ამბობს დიადი ლაო-ძი და თენგიზ ნატროშვილიც მოკრძალებით და პატივისცემით ცდილობს ჩაწვდეს განსხვავებული რასის აზროვნების არსს. „დაოს" ცნება თუ გარკვეულწილად გასაგებია, გაუგებარია, რას ნიშნავს ცნება „დე". იგი წიგნებში ეძებს ამ ცნების განმარტებას და ვერ პოულობს, თუმცა, მომავალში მისი გონება ამ საიდუმლოსაც ხსნის.

* * *

რას ნიშნავს ლაო-ძის ცნება „დე"-1178/79

გასული საუკუნის 80-იანი წლებისთვის უძველესმა საიდუმლო სკოლამ შეზღუდულად გამოიტანა ცოდნანი იბერიულ-კავკასიური ცნობიერების შესახებ. ეს იდეა ბევრმა აიტაცა და სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთარ ჰიპოთეზებს მიაბა. თუმცა ცოდნასა და ცოდვას შორის ქართულ ენაში განსხვავება ერთ ასოშია, რადგან იბერიულ კავკასიური ცნობიერება ჰიპოთეზა კი არა, – რეალობაა. დღემდე იმის მაგივრად, რომ ამ ცოდნის ტაძართან მოვიდნენ და აღადგინონ, ცდილობენ, რაიმე ნაწილი მიითვისონ და დააზიანონ.

პირველი მოსმენისთანავე თენგიზ ნატროშვილმა შეაფასა ამ ცოდნის მნიშვნელობა, გაჰყვა მას სათავისკენ და მოძებნა წყარო – პიროვნება, ვისგანაც ეს დასაბამისეული ცოდნა გადმოეცემოდა და ხდება მისი მოწაფე. მას შემდეგ ის გულმდგინედ მუშაობს ამ საკითხზე. პარალელურად იგი ისმენს ცოდნებს მსოფლიოს წმიდა წერილების შესახებ ავტორიტეტული წყაროებიდან.

1997 წელს მას ეხსნება არსობრივი ცოდნა უფალი იესო ქრისტეს მოვლინების შესახებ. ამ ცოდნას კაცობრიობა 2000 წელი ელოდება. იქამდე საუბრობენ ქრისტიანულ დოგმებზე, ქრისტიანულ მორალზე... სინამდვილეში კი სახარებიდან ვიცით, რომ უფალი იესო ქრისტე ყველა დოგმას არღვევს, რადგან დოგმა ჩარჩოა, ღმერთი კი ყველა ჩარჩოს მიღმაა. ქრისტე შეიძლება ხანდახან მორალისტად მოგვეჩვენოს, მაგრამ მორალი და შიში განვლილი ეტაპია. ქრისტიანობა მორალზე მეტია – ის სიყვარულია; ქრისტეს როგორც ბრძენს, ისე კი არ უნდა შევხედოთ, – ის თვითონ სიბრძნეა!

2001 წლიდან თენგიზ ნატროშვილი მასწავლებელს გაჰყავს კავკასიურ სულიერ ცენტრებში.

2002 წელს მოულოდნელად მისი მასწავლებელი ტოვებს ფიზიკურ სხეულს. თენგიზ ნატროშვილისთვის უმძიმესია ერთი მხრივ უძვირფასეს პიროვნებასთან განშორება და მეორეც დამოუკიდებლად როგორ შეძლებს თავი გაართვას ამ უდიდეს საქმეს. იგი მთელი პასუხისმგებლობით და ძალისხმევით ეკიდება დაკისრებულ მისიას. იქამდეც ხვდებოდა, მაგრამ ახლა საბოლოოდ რწმუნდება, რომ ეს არის კაცობრიობის უძველესი და უპირველესი ცივილიზაცია. იქამდე შეძენილი ცოდნების მეშვე-

ობით ის ახერხებს იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის ერთიანობაში აღდგენას და 2012 წლის 1 ნოემბერს აფუძნებს საზოგადოებას „იბერულ-კავკასიური ცივილისაცია“ (ააიპ).

საზოგადოების პირველივე ექსპედიცია ნაყოფიერი აღმოჩნდა. 2012 წლის 24 ნოემბერს მთაში, სოფელ მუქოში (ფშავი). მიაკვლიეს პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუშს (პიქტოგრაფიული დამწერლობა ლურსმულის წინარეა). მასზე აღმოჩენილი ფიგურა – ნიშანი მნიშვნელოვან ინფორმაციას აძლევს თენგიზ ნატროშვილს. – ის უდასტურებს იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის არა მარტო უძველესობას, – დღემდე უწყვეტობასაც. ეს კაცობრიობისთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა. თვალსაჩინოებისათვის წარმოვიდგინოთ, რომ მოვხვდით შუმერის ქუჩებში და ვხედავთ, ხალხი როგორ ცხოვრობს, როგორ აზროვნებს, როგორ ლოცულობს...

ამ მხრივ თენგიზ ნატროშვილი 2014 წლის 22-23-24 ნოემბერში აკეთებს კიდევ უფრო დაუჯერებელ და სენსაციურ აღმოჩენას: უძველეს ცივილიზაციაში იგი პოულობს კაცობრიობის აზროვნების პირველი ცივილიზებული ნაბიჯების კვალს და აღადგენს სიტყვებს, რომლითაც პირველყოფილი ადამიანები მეტყველებდნენ და ურთიერთობდნენ.

სამწუხაროდ, დღეს თენგიზ ნატროშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა ვიჩქაროდ, რომ ეს ეპოქალური ცოდნები არ დაიკარგოს.

სიტყვები, რომლითაც ურთიერთობდნენ პირველყოფილი და უძველესი დროის ადამიანები და მათი კვალი ქართულ ენაში

საკითხი, რომელსაც უნდა შევეხოთ, თავისი მასშტაბით წარმოუდგენელი და დაუჯერებელია, აღვადგინოთ სიტყვები რომლითაც მეტყველებდნენ უძველესი დროის ადამიანები, როგორ აზროვნებდნენ, როგორ ვითარდებოდა ენა და აზროვნება.მაგრამ უნდა გავიხსენოთ რომ ასევე უძველესია ჟესტები და ენების განვითარების მიუხედავად საუბრის დროს დღესაც იყენებენ თანამედროვე ადამიანები. მსგავსად პირველყოფილი სიტყვები შემოირჩინა ჩვენმა გენეტიკურმა ცნობიერებამ, ჩვენმა ქვეცნობიერებამ და ქართულმა როგორ უძველესი ცივილიზაციის ერთერთმა ენამ.

მოკლედ შევეხოთ იბერიულ-კავკასიურ ცივილიზაციას. როგორც პიქტოგრაფიული დამწერლობის მსგავსებიდანაც ჩანს ერთი საერთო არეალიდან გავრცელდა და განეფინა უძველესი ცივილიზაცია, რომლის კვალი ჩანს შუამდინარეთში, ინდოეთში, კავკასიაში, ესპანეთის იბერიაში... მაგრამ ისმება კითხვა კერძოდ საიდან?

კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე, როდესაც ადამიანმა ისწავლა მცენარეებისა და ცხოველების მოშინაურება, ჩამოყალიბება დაიწყო ორი ფსიქოლოგიური წყობის საზოგადოებამ: მიწათმოქმედმა და მომთაბარემ. თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე მომთაბარე იძულებულია გადაადგილდეს ამიტომ ძალმომრეობაზე და პატრიარქატზეა დაფუძნებული. მიწათმოქმედი კი დამკვიდრებული ცხოვრების წესს მისდევს და მატრიარქატს ეყრდნობა, თვითონ ცივილიზაცია დაფუძნებულს გულისხმობს და მატრიარქატი თავისთავად დიდი ცივილიზებული ნაბიჯია, რადგან უხეშ ფიზიკურ ძალაზე მაღლა სხვა ღირებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებებს აღიარებს: ნაყოფიერებას და რეგიონალურ ფსიქიკას. ამიტომ ყველაზე სიღრმისეული ფესვები მიწათმოქმედ ცივილიზაციაში უნდა ვეძებოთ. დროთაგანმავლობაში მომთაბარეთა შემოსევებისაგან არსებობა შეწყვიტეს მრავალმა მიწათმოქმედმა სახელმწიფომ შუამდინარეთში და მხოლოდ კავკასიონს შეფარებულმა იბერიულ-კავკასიურმა ცივილიზაციამ შეძლო გადარჩენა და დღემდე უწყვეტად მოღწევა.ამიტომ კავკასიურმა ენებმა შემოინახეს უძველესი სიტყვები.

ახლა რაც შეეხება კონკრეტულად საკვლევ თემას. უპირველესად ვეთანხმები მოსაზრებას, რომ თავიდან პირველყოფილი ადამიანები მეტყველებდნენ მარტივი-ერთი და ორ ბგერიანი სიტყვებით. ზოგი ასეთი სიტყვა კაცობრიობისათვის ცნობილია:

ან „ცა“

ქი, გი „მიწა“

ნუ „არა“

კა „ხორბალი“.

ასეთი სიტვები თანამედროვე ქართულშიც გვაქვს: ცა, ხე, ძუ, ძე...

1) ერთბგერიანი სიტყვები შემოინახა ჩვენმა ქვეცნობიერმა:

ა – ობიექტი აქვე(აიღე შეთავაზება)

ე – მიმართვა,მითითება(აქედან წარმოიშვა:შენ, მე)

ი – ობიექტი წინ (ის, სი-მეგრულ-ლაზურად და სვანურად „შენ“)

ო – გაოცება, გასაგებია (აქედან „ჰო“, „ხო“)

უ – ობიექტი შორს (აქედან „ნუ“)

მ – ობიექტზე მითითება, ყურადღების გამახვილება (მზე,მკა, მთა...) მუ-„რა“ (მეგრ.)

უნდა აღვნიშნოთ რომ ეს ბგერები სხვადასხვა ცივილიზაციებში მიჩნეულია სამყაროსეულ წმიდა ბგერებად: ვედურ(ინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურ) ცივილიზაციაში „აუმ“, რომელიც უკავშირდება ტრიმურტს, ა – ბრაჰმას, უ – ვიშნუს, მ – შივას. ორი ბგერის – ა და უ-ს შეერთებით მიიღება გრძელი მარცვალი „ო.“. აქედან წმიდა ბგერა „ომ“.

ისრაელის ცივილიზაციაში ამენ, ამინ "ჭეშმარიტება.

2) ყველაზე უძველესი სიტყვები და მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემოგვინახა ბავშვთა სასაუბრო ენამ, რადგან სასწავლებლად ქვეცნობიერში უფრო ახლოა, კერძოდ:

აღუ – მიმართვა

ბა – „ბავშვი, პატარა“ (ბატარა)

ბუა – შესაშინებელი სიტყვა (ბუა წაგიყვანს)

უა – ასევე შესაშინებელი სიტყვაა (უა მოვა)

ზია – ახალი ტანსაცმელი

კაკა – ნუგბარი საჭმელი

ნანა – დაძინება

ტა – სეირნობა

ფაფუ – გაქრა

ფია – თხელი კერძი

ფუფუ, ფუფუა – იგულისხმება ნატკენი, მუწუკი

ფუფალა – ღვთაება. სინათლის წყარო

ქუქუა – ქუდი

ყაყი(ანი) – ჭუჭყი(ანი), გასვრილი

ჩიჩია – ხორცი

ცია – სინათლე

წოწო – ცხელი

ჭიტა – დანახება და დამალვა

ხიხი, ხიხია, ხია – სიბინძურე

...

აღვადგინოთ მათი ნამდვილი მნიშვნელობა :

მრავალი ქართული გვარი ბოლოვდება სიტყვაზე შვილი: გონაშვილი, მინდიაშვილი, მჭედლიშვილი... ასევე აფხაზურ-

შიც გვარების დაბოლოება „ბა“ ნიშნავს შვილს: თარბა,ბუთბა, ზუხბა... როგორც ავღნიშნეთ, „ყაყიანი მიჩნეულია ჭუჭყიანად სინამდვილეში „ყაყი ნიშნავს ჭყანტობს საიდანაც ყიყინი ისმის“ (იქ გასვრილს) აქედან წარმოიშვა სიტყვა ბაყაყი,ანუ ყაყის შვილი.მსგავსად ბარტყი – ტყის შვილი.

აქამდე უცნობი იყო თუ რას ნიშნავდა ბუა, უა. ამ სიტყვების მნიშვნელობის გასაგებად დამეხმარა კიდევ ერთი საბავშვო სიტყვა აუა(ძაღლი) ასე აღვადგინე უა-(მხეცი), ბუა-(მტაცებელი, ფრინველი, არწივი). ბუ ნიშნავს ფრინველს (მფრინავს).

ბუზი – ბზუილა ფრინველი, ბულბული-ფრინველის სიმღერა, ბუმბული. უფრო დამამტკიცებელ არგუმენტად გამოდგება სიტყვა ბუქი – მფრინავი მიწა.

განვიხილოთ მიმართვა აღუ, სადაც ა მითითებითი ნაწილაკია, ხოლო ღუ – ნიშნავს პაწიას. ამრიგად ღუა ნიშნავს პაწია მხეცს, მკბენარს (რწყილს).

ძალზე მნიშვნელოვანია სიტყვა ფაფუ სადაც „ფუ“ ნიშნავს ცეცხლს (შებერვას), „ფა“ – გაქრობას. „ფუ“ ქართულ კილოთქმათა ლექსიკონის მიხედვით ხევსურულში ბავშვის ენაზე ნიშნავს ცეცხლს. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გაფუება განმარტებულია გაღვივებად, რომლის ფუ ძირს მეგრულ-ლაზურ ენაში მოეპოვება შესატყვისობა – ფუნაფა, რომელიც ნიშნავს ადუღებას გაცხელებას. ამრიგად ფუფუ ნიშნავს ცეცლით დაზიანებულს წვას.

ფუფუა – მხეცისგან დაზიანებული, წვა

ფია – ცეცხლზე მომზადებული თხელი საჭმელი

ფუა – ცეცხლზე მომზადებული ნანადირევი

ფუფალა – მთვარე (შესაძლებელია აქედან იყოს წარმოშობილი სიტყვა უფალი)

უფალი – მთვარისა და ვარსკვლავების მიღმა

ქუ – ქუხილი, ავდარი

წო – ნაკვერჩხალი

ტა – სეირნობა. აქედან: ტაში, ტარება, ტაატი...

3) აღწერითი და შედარებითი მეთოდების მიხედვით ალვად-
გინეთ ორბგერიანი სიტყვები:

ლი – ნაყოფი, ნობათი (ხილი – ხის ნაყოფი, თხილი – ტყის ნობათი, კაკალი – ნუგბარი ნაყოფი, შვილი – შვა ნაყოფი).

დი – სიარული, სვლა (წა-დი, მო-დი, ა-დი... სიტყვა გამოიყენება რუსულ ენაშიც **иди, ходи...**)

საინტერესოა, როგორ გამოხატავდა პირველყოფილი ადამიანი სიტყვას შორი, დიდი ანუ (სიარულისიარული).

აზროვნების ეს სტილი მეორდება მრავალ სიტყვაში: შიში (შიგნითშიგნით)

წოწო – ნაკვერჩხალინაკვერჩხალი ანუ ნაკვერჩხლები

ლოლო – დაგროვებადაგროვება

ძუძუ

თოთო

ხიხი

ნანა – ნა(ძილი), ნანა (დაძინება)

ასე შევადგინეთ მოკლე ლექსიკონი.

პირველყოფილი და უძველესი დროის ადამიანების მეტყველების კვალი ქართულ ენაში
ლექსიკონი

ა

ა – ობიექტი აქვე შეთავაზება.
ან – ღამის ცა.
აქ – კონკრეტულ ადგილზე მითითება.

ბ

ბა – ბავშვი, პატარა, შვილი.
ბაყაყი – ყაყის შვილი
ბალახი – პატარა რბილი ხე
ბაკი – პატარათა სამყოფელი.
ბალი – პატარა ხილი.
ბე – მაღლა
ბუ – ფრინველი.
ბუა – მტაცებელი ფრინველი – არწივი.
ბუზი – ბზუილა ფრინველი.
ბუქი – მფრინავი მიწა
ბუდე – ფრინველი და დედა.
ბუნაგი – ფრინველთა საძინებელი მიწაში.

გ

გუ – კრებული, გუნდი.
გუბე.
გი (ქი) – მიწა
გული – ნაყოფის გული.
გური – ცოცხალი გული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ

და – ქალი.
დე – დედა.
დი – სიარული, სვლა.
დიდი – შორი.

ე

ე! – მიმართვა, მითითება, „მე, შე-ნ“.

ვ

ვა – ტკივილი „გამოხატვა“.
ვე -მომცემი.
ვი – ზიდვა.
ვე ლი – ნაყოფის მომცემი.

ზ

ზე – ზევით.
ზია – ახალი თოვლი.
ზეკვა – სეტყვა.

თ

თა – მაღლა მყოფი.
თო – თოთო, რბილი, ფაფუკი.

ი

ი – ობიექტი წინ, მითითება.
ია – მშვენიერი.
ის – პირის და ჩვენებითი ნაცვალსახელი.
იქ – კონკრეტულ ადგილზე მითითება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ

კა – ხორბალი, მარცვლეული, სელი.
კაკა – მარცვლეულის ნუგბარი.
კაკალი – ნუგბარი ხილი.
კაცი – კა+ცია.
კალო – მარცვლეულის გროვა.
კავი – მარცვლეულის მოსაზიდი.
კე – სწორი.
კი – ყოფნა.
კუ – მრგვალი.
კატა — მარცვლეულზე მოსეირნე.
კვა – მკვრივი და მტკივნეული.
კო – შეკრული, მომრგვალებული და სასიამოვნო, კარგი.

ლ

ლა – რბილი.
ლი – ნაყოფი, ნობათი.
ლო – დაგროვება, გროვა.
ლოლო – ყინულის, ქვის.

მ

მ – ობიექტზე მითითება, ყურადღების გამახვილება.
მა – თბილი და ახლობელი. მეზობელი
მე – პირველი პირის ნაცვალსახელი.
მი – იქით.
მო – აქეთ.
მზე – ობიექტი ზევით
მკა – მარცვლეულის აღება.

ნ

ნა – ძილი.
ნანა – დაძინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი – გამოსვლა, გამოდინება.
ნუ – არა.

ო

ო – გაოცება, გასაგებია.

პ

პი – წვეტიანი,ბასრი.
პური – ცეცხლი და ქმედება.

რ

რა – თვალი.
რი – ქმედება.
რუ.
რქა – რი ქმედება, ქა– მიწა.

ს

სი – შენ.

ტ

ტა — სეირნობა.
ტაში — ცეკვა (სეირნობა შიგნით)
ტალახი – ტა – სეირნობა, ლა – რბილი, ხია – სიბინძურე.
ტი – არსი, გამოხატულება.
ტივი – ზიდვის გამოხატულება.

უ

უ – ობიექტი შორს.
უა – მხეცი.
უი – გაოცების გამოხატვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ

ფა – გაქრა.
ფაფუკი – ჩამქრალი ცეცხლის ნავლი.
ფი – თხელი.
ფო – თხელი და შემოსაზღვრული.
ფოთოლი.
ფე – დაბლა
ფოლაქი – ამომშრალ გუბეში დამსკდარი მიწა.
ფუ – ცეცხლი.
ფუა – მწვადი.
ფუფუ – ცეცხლით დამწვარი.
ფუფუა – მხეცისგან ნაკბენი.
ფუფალა – მთვარე.
ფუძე – კერია.
ფონი – თხელი გადასასვლელი.
ფუჭი – ცეცხლი და წყალი (უაზრო ქმედება).

ქ

ქი – მიწა.
ქილა – რბილი მიწა, თიხა.
ქუ – ქუხილი, ავდარი.
ქუქუა – ავდარში მოსასხმელი მხეცის ტყავი.
ქურქი – რქიანი ნანადირევის ტყავი
ქუდი – ავდარი და სიარული.
ქვა – მიწა და ტკივილი.
ქანი – მადანი.
ქალი – მიწა+ნაყოფი.

ღ

ღუ – პაწია.
ღუა – პაწია მხეცი– რწყილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყ

ყაყი – ჭყანტობი.

ყი – ცივი.

ყუ – მომრგვალებული და ღრმა.

შ

ში – შიგნით.

შიში – შიგნითშიგნით.

შვა – შიგნიდან გამომდინარე ტკივილი.

შობა – შვა ბა

შვილი – შვა ნაყოფი

ჩ

ჩა – ქვემოთ.

ჩალა – ქვემოთ და რბილი.

ჩი – ჩიტის ხმა.

ჩიტი – ჩის გამოხატულება.

ჩიჩია – ჩიტის ხორცი.

ცა

ცა – დღის ცა.

ცია – ნათელი.

ცოცხი – მცოცავი ხე.

ძ

ძაფი – ძუა და ფი.

ძე – მამრი.

ძუ – მდედრი.

ძუძუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ

წა – წასვლის მითითება.

წო – ნაკვერჩხალი, წოწო– ნაკვერჩხლები.

წვა – წო+ვა

ჭ

ჭა – წყალი.

ჭალა.

ჭიტა – ანარეკლი წყალში, სეირნობა და წყალი.

ჭიქა – წყალი და თიხა, წყლის დასალევი თიხის ჭურჭელი

ხ

ხა – სილრმე.

ხე.

ხევა – ხისგან, ეკლისგან მიყენებული ტკივილი. აქედან გამომდინარეობს ფხა.

ხიდი – ხე და სიარული (ხით გადასასვლელი).

ხი – ნახველი.

ხიხი – სიბინძურე.

ჯ

ჯა – მომცრო.

ჯახი, ჯოხი – მომცრო ხე.

ჰ

ჰო – თანხმობა.

წარმოგიდგინეთ ამ თემის ძირითადი არსი. ვფიქრობ, მნიშვნელოვან შედეგს მოგვცემს კვლევის გაგრძელება რამდენიმე მიმართულებით:

1. როგორც მოგახსენეთ, სიტყვა „დი“ იმავე მნიშვნელობით იხმარება რუსულ ენაში, უფრო გავრცელებულია სიტყვა „ტა“ – ცეკვის აღმნიშვნელ სიტყვებში (ტაში) танец – რუსულად, ევროპულ ენებში, ასევე ინდოეთში „ნატა“ Nataraja (Sanskrit नटराज). ანალოგიური სიტყვების მოძიება შესაძლებელია მსოფლიოს სხვა ხალხთა ენებშიც. რა თქმა უნდა, სიფრთხილით უნდა მივუდგეთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ბუ+მე+რა+ნ+გი“. აქ მხოლოდ ბგერათა შემთხვევითი მსგავსებაა თუ უძველესი საერთო წარმომავლობა?! თვითონ ქართულშიც, სიტყვა ერთი ბეწო თითქოს ბეწვიდან მომდინარეობს, მაგრამ სავარაუდოდ თვითონ „ბეწვი“ წვასთან უნდა იყოს დაკავშირებული და ბეწო წარმოსდგება „ბე“ – მაღლა და „წო“ – ნაკვერჩხალისგან ანუ ნიშნავს ცეცხლის ალში ავარდნილ ნაპ(ბ)ერწკალს.

2. ბგერების გამოთქმა: ცხადია პირველყოფილი ადამიანი ბგერებს განსხვავებულად გამოთქვამდა. ვფიქრობ დაზუსტება მიახლოებით შესაძლებელია.მაგალითად სიტყვა მიწის აღმნიშვნელი „ქი“ და „გი“, ეს ორი ფორმა მიგვანიშნებს, რომ ადრე გამოითქმებოდა „გ“-სა და „ქ“-ს შუალედური ჟღერადობის ბგერით. სიტყვა „პური“ მიღებულია „ფუ" – ცეცხლი და „რი“ – ქმედებისგან. აქაც გამოითქმებოდა „პ“-სა და „ფ“-ს შუალედური ბგერით. ასევე „ტყე“ და „თხე“-ში როგორც „თ“– „ტ“ ისე, „ყ“ და „ხ“-ს შუალედური ჟღერადობის ბგერით და ა.შ. ამ მხრივ უფრო მეტად დაგვეხმარება მთის კავკასიური ენები.

3. თუ როგორ იწყებდა აზროვნებას პირველყოფილი ადამიანების გონება, ამას მიუთითებს სიტყვები : „შორი“ – დი+დი ანუ სიარული სიარული, „შიში“ – შიგნით შიგნით, „ლოლო“-დაგროვება დაგროვება,... „ბუ+ნა+გი“-ფრინველი+ძილი+მიწა და ა.შ.

4. სიტყვათა წარმოშობის დრო. ინგუშეთში გვხვდება დასახლებული პუნქტი „მაღლბექი“. ცხადია, ეს ქართული ტოპო-

ნომია, – იმ დროინდელი, როდესაც კავკასიაში საქართველოს სახელმწიფოს ჰეგემონია ძლიერი იყო. ბექი ისედაც ნიშნავს „ბე“ – მაღლა და „ქი“ – მიწას. აქ ორი სიტყვის მაღალი და „ბე“-მაღლის ერთად ხმარებიდან ჩანს,რომ ახალ ენას დავიწყებული აქვს ძველი ენის სიტყვათა მნიშვნელობა, თუმცა სიტყვა „ფუძე“ დაახლოებით 7000 წელზე ძველი არ არის, რადგან ანდრეზების მიხედვით იბერიულ-კავკასიურ ცივილიზაციაში ამ დროს მატ-რიარქატი იცვლება პატრიარქატით.

5. საინტერესოა, თვითონ დამწერლობის ისტორიაც, თუ რა-ტომ იწყება მსოფლიოს ხალხთა ანბანები „ა“ ასობგერით რომ-ლის რიცხვითი მნიშვნელობა არის 1 და როგორ უკავშირდება უძველეს ქართულ სარწმუნოებას, ღმერთის იმპერსონალურ ასპექტს, ამას სხვა დროს მოგახდენებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

წინასიტყვაობა 1
ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ 2
თენგიზ ნატროშვილის შესახებ 3
რას ნიშნავს ლაო-ძის ცნება „დე“ 6
სიტყვები, რომლითაც ურთიერთობდნენ
პირველყოფილი და უძველესი დროის
ადამიანები და მათი კვალი ქართულ ენაში 9
ლექსიკონი 14

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველ გვერდზე:
საზოგადოება „იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის“ პირველი ექსპედიციის (შ. წითელაური, გ. გიგაური, თ. ნატროშვილი) მიერ ფშავში, სოფელ მუქოში მიკვლეული უძველესი პიქტოგრაფიული დამწერლობის ნიმუში ქვაზე.
ფოტო გადაღებულია 2012 წლის 24 ნოემბერს

გარეკანის მეოთხე გვერდზე:
სალოცავის ფოტო გადაღებულია ნ. ყარაგვეზაშვილის მიერ.

Facebook: +(995)555911405

რედაქტორი: **ერეკლე საღლიანი**

ISBN 978-9941-8-1592-8

მატრიარქატის ეპოქის საღოცავი ელემენტებისაგან ქართულში